ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და ვლეხთა მთავრობისა.

1923 წლის ოქტომბრის 1.	№ 8. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 98. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ.

„ 99. გეგმაშეწონილობის დამყარების შესახებ სახელმწიფო საშუალებათა დახარჯვის საქმეში.

„ 100. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

„ 101. ბენსინის ნორმისა და აგრეთვე დამატებითი და უმუშევართა დახმარების ნორმის გამოანგარიშების შესახებ.

„ 102. დახვეულთა უზრუნველყოფის წესის შესახებ ერთი სადასაზღვეო კასის მოქმედების რაიონიდან მეორე კასის მოქმედების რაიონში გადასვლის დროს.

„ 103. უცხოეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაციის შესახებ.

„ 104. ავანსის მიცემის შესახებ საალრიცხო კრედიტის ანგარიშში.

„ 105. ნაკეთის სპეციალურ პროდუქტების ქარხნეულობის დასამზადებლად უცხოეთის ტექნეკის შეღავათით შემოტანის შესახებ.

„ 106. სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ სოციალური დაზღვევისათვის.

„ 107. უცხოელთათვის საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის წესის შესახებ.

„ 108. დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ეამს.

„ 109. აქციზით დასაბეგვრი საგნებისათვის მტკიცე სააქციზო განაკვეთის რაოდენობის დაწესების შესახებ.

„ 110. არსებული სააქციზო განაკვეთის შეცვლისა და ახალი აქციზის დაწესების შესახებ.

„ 111. შრომის ინსპექციისა და სოციალური დაზღვევის ორგანოთა ურთიერთობის შესახებ.

„ 112. მაგარი სასმელის წარმოებისა და გაყიდვისა და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ თამბაქოს ეაბრობის საპატენტო გამოსაღების რაოდენობის შესახებ.

„ 113. ექსპორტისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

„ 114. ჩერვონეცის შემოღების შესახებ, როგორც ანგარიშის გასწორების საშუალებისა.

„ 115. ამიერკავკასიის შიშშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომისიისა და ხელა ორგანიზაციების და დაწესებულების ტერიტორისათვის შეღავათის დაწესების შესახებ.

„ 116. საზღვარგარეულ მყოფ პირთა ზოგიერთი კატეგორიისათვის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 8. ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 117. სახაფხულო და სახამორო საძოვარი ადგილების საიჯარო სასყიდლის ერთიანი განაკვეთის შესახებ ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის იმ მოსახლეობისათვის რომელიც ფლობენ მეცამოლლობას.
„ 118. საბიჯეტო ინდექსის ღირებულების აღნუსხვის შესახებ.
„ 119. მუშა-მოსამსახურეთა დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ტამს სოციალური უზრუნველყოფის დეკრეტის შეცვლის შესახებ.
„ 120 ერთიანი სასოფლო-სავაჭრონეო გადასახადის განაკვეთის შესახებ.
„ 121. ბაკოს ბაზრობაზე ოპერაციებისათვის სპარსეთიდან შემოტანილი ვალიუტის უკან გატანის წესის შესახებ.
„ 122. მარტივი სალარო გამოსალების შენაწერის გადიდებისა და სახელმწიფო სალარო გამოსალების წესდების 15 მუხლის დამატების შესახებ.
„ 123. სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.
„ 124. შავი ზღვის ნაპირის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურში საღეხო გამოსალების გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

დეკრეტი ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 7.

98. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ.

ამერკავკასიის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წ. ივლისის 14-ს თარიღითა და 13 № ით საკავშირო საბჭოს დეკრეტებისა და დადგენილებათა ძალაში შესვლის ვადის შესახებ და 1922 წლის აგვისტოს 18 თარიღით საკავშირო საბჭოს დეკრეტებისა და დადგენილებათა შესახებ გამოცემული დეკრეტების გასაუქმებლად,—ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დეკრეტი და დადგენილება გამოქვეყნდება **ტფილისში**:

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ში—რუსულად
„ „კომუნისტ“-ში—ქართულად
„ „მარტაკოჩ“-ში—სომხურად
„ „ენი-ფოკ“-ში—თურქულად

და ძალაში შევა ყველგან ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დღიდან მათი გამოქვეყნებისა, უკეთუ ამა დეკრეტისა და დადგენილებათა ტექსტში სხვაფრივ არ არის ნათქვამი.

2. უკეთუ რუსულსა და სხვა ტექსტებ შორის განსხვავება აღმოჩნდება,— სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს რუსული ტექსტი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შევიდეს ტელეგრაფით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჭუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 10-ს თარიღის 104 №-ში.

დადგენილება № 43 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის აპრილის 30.

99. გეგმაშეწონილობის დამყარების შესახებ სახელმწიფო საშუალებათა დახარჯვის საქმეში.

წინაადმდეგ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციით დამყარებული წესისა (მუხ. 38 და 39), რომლის თანახმადაც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის და მის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა ყველა შემოსავალი და გასავალი, ერთიანი ფინანსიური გეგმის განხორციელების მიზნით, გაერთიანებულია საერთო სახელმწიფო ბიუჯეტში, მოსავალი უწყებანი, როგორც გაერთიანებული, ისე არაგაერთიანებული ხშირად მიმართავენ ხოლმე შუამდგომლობით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მათთვის სახსარის მიცემის შესახებ სხვადასხვა საჭიროებისათვის, რაც თავის დროზე არ ყოფილა გათვალისწინებული მათ აღრიცხვაში და ამით შეაჭკნ დეზორგანიზაცია ნორმალურ საბიუჯეტო მუშაობაში.

ამ უაღრესად არანორმალური მოვლენის აღმოსაფხვრელად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კატეგორიული წინადადება მიეცეს ყველა რესპუბლიკას და უწყებას შეიტანონ ყოველი თავიანთი მოთხოვნილება საკვარტალო ბიუჯეტისა და აღრიცხვის პროექტში და მხოლოდ უაღრესად განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც რაიმე დაყოვნება შეუძლებელია, აღძრან ხოლმე ცალკე შუამდგომლობა აღრიცხვით გაუთვალისწინებელი საჭიროებისათვის, გაგზავნიან რა ამ შუამდგომლობას ერთსა და იმავე დროს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოში, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატში და ამიერკავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში;

ამასთანავე არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ.
რესპუბლიკის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლიტ.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 10-ს თარიღის 104 №-ში.

დადგენილება № 44 ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 9.

100. კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ამერკავკასიის საზღვრების სათანადოთ დაცვისათვის და კონტრაბანდის წინააღმდეგ წესიერი ბრძოლის წარმოებისათვის—ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს ამერკავკასიის საბაჟო სამმართველოსთან კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრალური კომისია; კომისია შესდგეს ამერკავკასიის საგანგებო კომისიისა და ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლობისა სბაჟო სამმართველოს წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

შენიშვნა. სბაჟო სამმართველოს შეუძლიან მოაწყოს ადგილობრივ ასეთივე შედგენილობის კომისიები თვალსაჩინო სბაჟოებთან

2. საკონტრაბანდო საქონლის რეალიზაციით მიღებული ფულიდან 30% გადაირიცხოს ხაზინის შემოსავალში, ხოლო დანარჩენი,—სასამართლო ხარჯებისა და გადატანისა და რეალიზაციისათვის გაწეული ხარჯების გამოკლებით,—განაწილებულ იქნეს საჯილდო თანხის სახით შემდეგნაირად: 33% მიეცეს საქონლის პირდაპირ დამჭერთ, 20%—არაპირდაპირ დამჭერთ, 20% - ამერკავკასიის საგანგებო კომისიას და 27%—სბაჟო სამმართველოს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლოს.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 10-ს თარიღის 104 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 46 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროსი.

1923 წლის მაისის 8.

101. პენსიის ნორმისა და აგრეთვე დამატებითი და უმუშევართა დახმარების ნორმის გამოანგარიშების შესახებ.

1. შრომის ინვალიდთათვის და მრჩენელის დამკარგველ მშრომელთა ოჯახისათვის მისაცემი პენსიის ნორმის გამოსაანგარიშებლად და აგრეთვე დამატებითი (მოვლისა, კვებისა და დასაფლავებისათვის) და უმუშევართა დახმარების ნორმის გამოსაანგარიშებლად სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული საანგარიშო ერთეული, რაც საფუძვლად უდევს სამუშაო ხელფასის დაწესებას, ე. ი. პროდუქტთა და პირველი მოთხოვნილების საგანთა საბიუჯეტო ინდექსი-ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროს მიერ დამტკიცებული.

2. პენსიისა და დახმარების რაოდენობას, თანახმად ამა დადგენილების 1-ლი მუხლისა, დაწესებენ რესპუბლიკანური სადასაზღვეო ორგანონი სადასაზღვეო საშუალებათა მდგომარეობის მიხედვით და ისეთ ფარგლებში, რაც არ უნდა აღემატოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის წარმუნებულთან არსებული ფასთა ინდექსის განსაზღვრის კომისიის მიერ იმ საბიუჯეტო ინდექსისათვის დადგენილი ოდენობულების 80%-ს, რომელიც გამოანგარიშებულ იქნება პენსიის (დახმარების) მისაცემად 1-ლ რიცხვისათვის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ბახუტოვი.**

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა
ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის
ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე **ყურულოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 10-ს თარიღის 104 №-ში.

დადგენილება № 47 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის მაისის 8.

102. დაზღვეულთა უზრუნველყოფის წესის შესახებ ერთი სადასაზღვეო კასის მოქმედების რაიონიდან მეორე კასის მოქმედების რაიონში გადასვლის დროს.

1. სადასაზღვეო კასის მონაწილეს, რომელიც სპეციალურ მკურნალობისა. თვის გადავა მეორე სადასაზღვეო კასის რაიონში და აგრეთვე იმას, ვინც ავათ გახდება არა თავისი კასის რაიონში—უფლება აქვს მიიღოს დახმარება თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი სამყოფელი ადგილის კასიდან, უკეთუ მას არ მიუღია დახმარება დროებითი შრომის უუნარობისათვის ან კასიდან, რომლის წევრიც იგი არის.

2. დროებითი შრომის უუნარობის სათანადო დახმარება გაიცემა იმ კასის საშუალებათაგან, რომლის რაიონშიც ავათმყოფი დროებით სუხოვრობს,- უკეთუ იგი წარადგენს საბუთს ავათმყოფობისა, სამსახურის ადგილისა და რაიონისა და სადასაზღვევო კასის წევრობის შესახებ და აგრეთვე კასის ცნობას იმის თაობაზე, თუ რისთვის მიიღო მან დახმარება და რა დრომდე.

3. დახმარების მიცემა, თანახმად ამა დადგენილების მე-2 მუხლისა, სწარმოებს ავათმყოფის დროებითი საცხოვრებელი ადგილის კასის მიერ იმ სადასაზღვევო კასის ხარჯზე, რომლის მონაწილედაც ავათმყოფი ითვლება.

ანგარიშის გასწორება სადასაზღვევო კასებ შორის მოხდება უმეშვეოდ იმ დოკუმენტთა ასლის სათანადო კასისათვის გადაგზავნისას, რომლის საფუძველზეც მიცემულ იქნა დახმარება.

4. სამკურნალო დახმარება იმ ავათმყოფს, რომელიც სპეციალური მკურნალობისთვის ამიერკავკასიის ერთი რესპუბლიკიდან მეორეში გადაიყვანა, უნდა აღმოუჩინოს რესპუბლიკანურმა სოციალური დაზღვევის ორგანომ იმ რესპუბლიკის „Г“ სახის სადასაზღვევო შენატანის ხარჯზე, საიდანაც მოსულია ავათმყოფი. მკურნალობა აღმოჩინება ნისიად ხოლო ანგარიშის შემდგომი გასწორებით რესპუბლიკათა სადასაზღვევო ორგანოებ შორის.

შენიშვნა. აღნიშნული ღონისძიების განხორციელება დაეკისრება რესპუბლიკანურ სადასაზღვევო ორგანოებს სათანადო რესპულლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. ერთი რესპუბლიკის სადასაზღვევო კასის მიერ უზრუნველყოფილი ინვალიდი და უმუშევარი, რომელიც ოჯახური მდგომარეობისა ან ავათმყოფობის გამო გადავა მეორე რესპუბლიკის სადასაზღვევო კასათა მდებარეობის რაიონში,-შეინარჩუნებს უფლებას უზრუნველყოფისაგან და იგი მიეცემა იმ კასიდან, რომლის რაიონშიაც იგი გადავიდა.

უზრუნველყოფა მოხდება სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, რაც გაცემული იქნება იმ რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოსაგან, საიდანაც მოსულია ინვალიდი ან უმუშევარი-თვინიერ რაიმე ანგარიშის განწორებისა კასათა შორის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისრის მოადგილე **ბახუტოვი.**

მდივნის მაგიერ **მარტინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია“ ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 11-ს თარიღის 105 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 45 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წელს მაისის 9.

103. უცხოეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაციის შესახებ.

1. მოხდეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე უცხოეთის ქვეშევრდომთა ხელახალი რეგისტრაცია.

2. რეგისტრაცია დასრულდეს ერთ თვეში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

3. უცხოეთის ქვეშევრდომი, რომელიც თავს განირიდებს რეგისტრაციისათვის გამოცხადებისაგან გადასახლებულ იქნება ადმინისტრატიული წესით ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან.

4. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს დაეკალება განსაზღვროს რეგისტრაციის წესი ცალკე ინსტრუქციით.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მართველი **მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მაისის 11-ს თარიღის 105 №-ში.

დადგენილება № 46 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 10.

104. ავანსის მიცემის შესახებ სააღრიცხვო კრედიტების ანგარიშში.

1. ავანსი მომქმედი საღრიცხვო კრედიტის ანგარიშში მიიცემა კრედიტის განმკარგულებელის მოთხოვნით:

ა) დასამზადებელი და საალნაგო ოპერაციებისათვის ერთდროულად არა უმეტეს ამა თუ იმ ოპერაციისათვის ან სამუშაოსათვის სათანადო თვეში გახსნილი კრედიტის 50% -სა.

ბ) დანარჩენი საოპერაციო ხარჯებისათვის, როგორიც არის წარმოება, ექსპლოატაცია და სხვ., ერთდროულად არა უმეტეს იმავე კრედიტის 33%-სა.

2. ახალი ავანსის მიცემა მოხდება მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება ანგარიში პირველი ავანსის დახარჯვისა სრულიად ან და მიღებული თანხის არა ნაკლებ სამი მეოთხედის რაოდენობისა, — თუნდაც სათანადოთ შემოწმებული გაწეული ხარჯების ნუსხის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ავანსი წარვლინების საქმისათვის მიცემულ იქნება კრედიტის განმკარგულებელის პასუხისმგებლობით წარვლინების ხანგრძლივობისა და მანძილების მიხედვით, მარტოოდენ უდავო ხარჯების დასაფარავად: სამგზავრო ბილეთის ფასი, დღიური და სხვ. საწარვლინებო საჭიროების ავანსის გამოანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება არავითარი საოპერაციო ხანჯი წარვლინებულისა.

4. უკიდურეს ნორმად სამმართველოთა და დაწესებულებათა სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯების ავანსისა დაწესდეს: ცენტრალურ ფედერატიულ დაწესებულებათათვის—400 მილიონი მან., ცენტრალურ რესპუბლიკანურ დაწესებულებათათვის—400 მილ. მან. და სამაზრო ებისათვის—150 მილიონი მან.

5. განსაკუთრებულ შემთხვევაში 1 და 4 მუხლით დაწესებული უკიდურესი ნორმა შეიძლება გადიდებულ იქნეს დაინტერესებულ დაწესებულებათა შეთანხმებით ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სათანადო ორგანოებთან.

6. კრედიტის განმკარგულებელი ვალდებულია შეუწონოს ხოლმე საავანსო მისაცემის გამოყენება იმ საქმეს, რისთვისაც იგი გადაუდებლად საჭიროა და სრულ პასუხისმგებლობას ეწევა ყველა შედეგისათვის, რაც შეიძლება მოჰყვეს სათანადო სიფრთხილით მოუპყრობლობას აღნიშნული საავანსო მინაცემისადმი და აგრეთვე თვალყურს ადევნებს, რომ ავანსის მიმღებმა სისწორით შეასრულოს წესები საკასო ოპერაციების შესახებ მიღებული ავანსის შენახვისა და დახარჯვისათვის.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ხარჯების გაწევის პირობების გამო შეუძლებელია გასამართლებელი საბუთების მიღება, ანგარიშვალდებულ პირს უფლება ეძლევა დახარჯოს ამა დადგენილების 1 მუხლის „ა“ ლიტერის თანახმად 5 მილიონ მანათამდე, იმავე მუხლის „ბ“ ლიტერის თანახმად —5%-დე ანგარიშ ქვეშ მიღებული თანისა, ხოლო არა უმეტეს 5 მილიონისა და 3 მუხლის თანახმად —5%-დე ანგარიშ ქვეშ მიღებული თანხისა, ხოლო არა უმეტეს $2^1/_2$ მილიონისა, იმ აუცილებელი პირობით კი, რომ საავანსო ანგარიშს დართული ექნეს ხარჯების ნუსხა, შემოწმებული ანგარიშვალდებული პირის უშუალო უფროსისაგან.

8. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად უფლება ეძლევა პეროიდულად, მანათის კურსის მერყეობის მიხედვით შესცვალოს ხოლმე ამა დადგენილების მე-4 მუხლით დაწესებული სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯების ავანსის უკიდურესი ნორმები და უკიდურესი თანხები იმ ავანსებისა, რაც განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება გაეცეთულ იქნეს, თვითე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 47 ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 10.

105. ნავთის საექსპორტო პროდუქტების ჭურჭლეულობის დასამზადებელად უცხოეთის თუნუქის შეღავათით შემოტანის შესახებ.

რათა ხელი შეეწყოს ამერიკავკასიის ფარგლებიდან ნავთის პროდუქტების უცხოეთში გატანას, და გაადვილდეს მათი საგარეო ბაზარზე გასაღება,—ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

უცხოეთის თუნუქი, რაც შემოვა საზღვარ გარეთიდან საექსპორტო ნავთის პროდუქტების ბიდონების დასამზადებლად, შემოტანილ იქნება ბაჟის გადაუხდევინებლად იმ პირობით, რომ ეს ბაჟი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფულადი გირაოთი ან ვალდებულებით.

თუნუქის ტარად გატანის დროს უკანვე საზღვარგარეთ,—სამი თვის განმავლობაში დღიდან მისი (ტარის) ქარხანაში დამზადებისა, გირაო და ვალდებულება განთავისუფლდება.

2. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს უფლება ეძლევა დაამყაროს წესი კონტროლის გაწევისა, რომ უცხოეთის თუნუქი ნამდვილად უკანვე საზღვარგარეთ გაიტანებოდეს ტარად, ნავთის პროდუქტებით გამოსცეს ხოლმე ამის შნსახებ წესები და ინსტრუქცია და განსაზღვროს ვადები და ადგილი (საბაჟო) ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს სექმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 15-ს თარიღის 108.№-ში.

დადგენილება № 48 ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 11.

106. სატარიფო განაკვეთის რაოდენობის შესახებ სოციალური დაზღვევისათვის.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საკავშირო საბჭოს მიერ დაზღვევის ტარიფის საკატეგორიო განაკვეთის შესახებ 1922 წლის დეკემბრის 8-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გასაუმჯობესლად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაწესებულ იქნეს 1923 წლის მაისის 1-დან დაქირავებული შრომით მომუშავე პირთა სოციალური დაზღვევისათვის შემდეგი ტარიფი პროცენტებად ყოველგვარ სამუშაო ხელფასზე ყველა კერძო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ, საკონცესიო, საიჯარო საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში და, აგრეთვე, ყველა სახელმწიფო საწარმოში და დაწესებულებაში, რომელიც გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე.

	ა.	ბ.	გ.	დ.	
	დროებითი შრომის უუნარობისა და დამატებითი ტუბერკულოზისათვის	ინვალიდობისათვის და დაქირავებით მშრომელთა ოჯახების წევრთა დახმარებისათვის, როდესაც ამ ოჯახების მარჩენალი პირი გარდაიცვლება ან უკვალოდ დაიკარგება	უმუშევრობისათვის	სამკურნალო დახმარებისათვის	ჯამი
1-ლი კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	6 %	3 ½	2	4 ½	16
2-რე კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	6 ½	4 ½	2	5	18
3-მე კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	7	5	2	6	20
4-ხე კატეგორია საფრთხისა და მავნებლობის მიხედვით.	8	5 ½	2	6 ½	22

2. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა და საწარმოსათვის (მათ შორის რკინის გზისა, წყლის ტრანსპორტისა და მანძილ-გადაბმულობისა) და, აგრეთვე, სათბობი და მეტალის მრეწველობის, იმ საწარმოთათვის, რომელთაც ფინანსიურად ინახავს სახელმწიფო, — დაწესებულ იქნეს 1923 წლის მაისის 1-დან შემდეგი დროებითი შეღავათიანი ტარიფი:

ა) დაწესებულებათათვის 12 პროც. რაოდენობისა შემდეგის განაწილებით დაზღვევის სახისდაგვარად:

ა. დროებითი შრომის უუნარობისათვის . . . . . 4 ½
ბ. ინვალიდობისა და ოჯახის წევრთა დახმარებისათვის . . . . . 1 ½
გ. უმუშევრობისათვის 2
დ. სამკურნალო დახმარებისათვის 4

ბ) სამრეწველო საწარმოთა და ტრანსპორტისათვის 16 პროც. რაოდენობისა შემდეგის განაწილებით დაზღვევის სახისდაგვარად.

ა. დროებითი შრომის უუნარობისათვის 6
ბ. ინვალიდობისა და ოჯახის წევრთა დახმარებისათვის . . . . . 3 ½
გ. უმუშევრობისათვის 2
დ. სამკურნალო დახმარებისათვის . . . . . 4 ½

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: პროფესიონალური კავშირები დაზღვევის გადასახადში ეთანაბრებიან სახალხო კომისარიატების ჯგუფს (§ ა),

3. გაუქმებულად ჩაითვალოს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა დავალიანება დაზღვევის გადასახადში, რომელნიც ჩამოთვლილ არიან ამა დადგენილების მე-2 მუხლში, მთელი ხნის განმავლობაში 1923 წლის იანვრის 1-დე.

ხოლო ის დავალიანება, რაც შესდგა 1923 წლის მაისის პირველამდე, დაფარულ უნდა იქნეს მე-2 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ არა უგვიანეს 1923 წლის ივლისის 1-სა, საურავისა და საკურსო განსხვავების დაუმტებლად.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 15 თარიღის 108 №-ში.

დადგენილება № 49 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 16.

107. უცხოელთათვის საცხოვრებელი დოკუმენტის მიცემის წესის შესახებ.

1. საზღვარგარეთიდან ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში შემოსული უცხოელი მიიღებს სათანადო საცხოვრებელ დოკუმენტს იმ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატიდან, სადაც იგი მისულა.

2. საცხოვრებელ დოკუმენტს მისცემს უცხოელს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც უცხოელი წარადგენს სამშობლოში მიღებულ ნაციონალურ პასპორტს, რომელსაც დასმული ექნება სათანადო ვიზა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლისა ან, საერთოდ, საამისოდ სპეციალურად რწმუნებული პირისა და რომელსაც, ავრეთვე, ექნება ნიშანი სამხედრო-საკონტროლო გასაშვები პუნქტისა, რომ უცხოელმა გაიარა ეს პუნქტი.

3. ამა დადგენილების გამოცემის წამს საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მცხოვრები პირი, რომელიც თავის თავს უცხოელად სთვლის,—მიიღებს საცხოვრებელ დოკუმენტს სამშობლოში მიღებული ნაციონალური პასპორტის წარდგენის შემდეგ იმის აღნიშვნით, რომ უცხოელი სცხოვრობს საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში.

ბიბლიოთეკა
ტფილისი

4. უკეთუ მე-3 მუხლში აღნიშნული პირი უცხოეთის მოქალაქეობის დასამტკიცებლად წარადგენს საკონსულო ან დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ მიცემულ პასპორტს,—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მისცემს მას დროებითი საცხოვრებელ მოწმობას ვადით არა უმეტეს 6 თვისა, რომელი ვადის განმავლობაშიაც უცხოელი ვალდებულია წარმოადგინოს სამშობლოში მიღებული ნაციონალური პასპორტი.

უკეთუ აღნიშნულ ვადაზე უცხოელი არ წარადგენს სამშობლოში მიღებულ ნაციონალურ პასპორტს,—მას ჩამოერთმევა დროებითი მოწმობა, ხოლო თითონ გადასახლებულ უნდა იქნეს საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებიდან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა იგი მიღებულ იქნება საბჭოთა ფედერაციის ერთ-ერთი რესპუბლიკის მოქალაქედ.

5. სპარსეთისა ან ოსმალეთის ქვეშევრდომი მიიღებს უცხოელის საცხოვრებელ დოკუმენტს, როგორც სამშობლოში მიღებული ნაციონალური პასპორტის საფუძველზე, ისე იმ პასპორტის საფუძველზე, რაც მიცემული ექნება სპარსეთის და ოსმალეთის სრულფუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ ან კონსულის მიერ კუთვნილებისამებრ, უკეთუ. ამასთანავე, იგი წარადგენს სხვა დამამტკიცებელ საბუთს, რომ ნამდვილად სპარსეთის ან ოსმალეთის ქვეშევრდომია,როგორიც არის, მაგალითად: სამშობლოში მიღებული მეტრიკული ამონაწერი დაბადების შესახებ, ქორწინების აქტი და სხვ.

უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული საბუთები წარდგენილ არ იქნება, ის, ვინც თავის თავს სპარსეთის ან ოსმალეთის ქვეშევრდომად სთვლის,—მიიღებს ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნულ დროებითი მოწმობას. უკეთუ დროებითი მოწმობაში განსაზღვრულ ვადაზე აღნიშნული პირი არ წარადგენს სამშობლოში მიღებულ ნაციონალურ პასპორტს, მას შეუძლიან მიიღოს საცხოვრებელი დოკუმენტი თანასწორ საფუძველზე როგორც საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქენი. ის პირი, რომელიც არ მიიღებს უკანასკნელ საცხოვრებელ დოკუმენტს,—გადასახლებულ იქნება საბჭოთა რესპუბლიკების ფარგლებიდან.

6. ყოფილი რუსეთის იმპერიის მოქალაქე, რომელსაც მიუღია უცხოეთის ქვეშევრდომობა 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ, ვალდებულია ნაციონალურ პასპორტთან ერთად წარადგინოს საბუთი იმის შესახებ, რომ მისი გადასვლა რუსეთის ქვეშევრდომობიდან უცხოეთის ქვეშევრდომობაში ნებადართულ იყო სათანადო ხელისუფლების მიერ.

7. უცხოელისათვის მიცემულ საცხოვრებელ დოკუმენტში და აგრათვე ამა დადგენილების 4 და 5 მუხლით გათვალისწინებულ დროებითი მოწმობაში შეიძლება შეტანილ იქნენ დოკუმენტის ან მოწმობის პატრონის ოჯახის წევრნი, სახელდობრ: ცოლი და არასრულწლოვანი შვილები.

8. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა დადგენილების განსავითარებლად გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია.

9. ამა დადგენილების გამოცემისათანავე გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წინად გამოცემული ყველა კანონდებულება, რომელიც რითიმე ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 17-ს თარიღის 110 №-ში.

დადგენილება № 49 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის ბიუროსი.

1923 წლის მაისის 14.

108. დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ჟამს.

დახმარების მაქსიმალური რაოდენობა დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ჟამს დაწესებულ იქნეს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფის 17 კატეგორიის სატარიფო განაკვეთის რაოდენობით; ამასთანავე, აღნიშნულ განაკვეთში შედის ზედნართი დატვირთვისათვის.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარის მოადგილე **ბახუტოვი.**

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა
ცენტრალური საბჭოს ამიერკავკასიის
ბიუროს თავმჯდომარე **გინზბურგი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 17-ს თარიღის 110 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1923 წლის მაისის 14

109. აქციზით დასაბეგვრი საგნებისათვის მტკიცე საქციზო განაკვეთის რაოდენობის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამ ჟამად ამიერკავკასიის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი საქციზო განაკვეთების შესაცვლელად დაწესებულ იქნეს საქციზო დაბეგვრის შემდეგი მტკიცე განაკვეთები:

1) ყურძნის ღვინო: ა) ადგილობრივი წარმოებისა: ა) თხელი ღვინო არა უმეტეს თოთხმეტი გრადუსისა სიმაგრით—ორმოცი კაპიკი ვედროზე, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—ერთი მანათი და ოთხმოცდაათი კაპიკი ვედროზე; ბ) ხეხილისა და მარწყვეულობის ღვინო—ერთი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკი; გ) ყურძნის ღვინო თოთხმეტ გრადუსს ზევით, მაგრამ არა უმეტეს ოცი გრადუსისა სიმაგრით—და აგრეთვე დესერტისა და ქიშმიშის ღვინოები—ორი მანეთი და ოცდაოთხი კაპიკი ვედროზე, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—ოთხი მანეთი; დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა ღვინო, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—თერთმეტი მანეთი და ოთხმოცდახუთი კაპიკი.

ბ) უცხოეთიდან შემოტანილი: ა) თხელი რომელიც ალკოჰოლს შეიცავს თოთხმეტ გრადუსამდე—სამი მანეთი და სამოცდათექვსმეტი კაპიკი ვედროზე; ბ) თოთხმეტ გრადუსზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს ოცი გრადუსისა—ცხრა მანეთი და ორმოცი კაპიკი ვედროზე; გ) მონავარდე (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—ოცდაათი მანეთი და რვა კაპიკი ვედროზე.

გ) ღვინის ძმარი—ორმოცი კაპიკი ვედროზე.

2) სპირტი: ა) პორისა და დაჩირული ხილისგან და მარწყვეულობისაგან გამოხდილი—ოცდაათი კაპიკი გრადუსზე; ბ) გამოხდილი ყურძნეულობისაგან და ნედლი ხილისგან—ორი კაპიკი გრადუსზე, გ) კონიაკისა—ხუთი კაპიკი გრადუსზე, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—ოცდაორნახევარი კაპიკი. გარდა ამისა, დამატებით დაიბეგვრება: ა) კონიაკი—ხუთი მანეთით ვედროზე, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—ათი მანეთი ვედროზე; ბ) არაყეულობა—რვა მანეთით ვედროზე.

3) ლუდი, თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლები: ა) ლუდი—ერთი მანეთი ვედროზე; ბ) თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყლები—ოცი კაპიკი ვედროზე.

4) წუმწუმის ასანთი ნახევარი კაპიკი კოლოფზე, რომელშიაც 75 წკირზე მეტი არ უნდა იყოს.

5) ნავთის პროდუქტები: სანათი ნავთის ზეთი და სხვა გამჭვირვალე ნახადი პროდუქტი (სანათი და საცხებელი ზეთი) ბენზინის გამოკლებით—სამოცი კაპიკი ფუთზე, ხოლო ბენზინი ერთი მანეთი და ოცი კაპიკი ფუთზე.

6) ჩაი, ყავა, მათი სუროგატები და ციკორი.

ა. უცხოეთის ჩაი: ა) შაი (ბაიხოვი)—ოთხმოცდაათი კაპიკი გირვანქაზე; ბ) ჩაი ფილებად (პლიტოჩნი)—ორმოცდახუთმეტი კაპიკი გირვანქაზე; გ) აგური ჩაი (კირპიჩნი)—ოცდახუთი კაპიკი გირვანქაზე. ადგილობრივი ჩაი დაიბეგრება ოცი კაპიკის რაოდენობით გირვანქაზე, ხოლო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—ოთხმოცდაათი კაპიკით.

ბ. ყავა ნატურალური უმი ან დახალული და დაფქული—სამოცი კაპიკი გირვანქაზე.

გ. ყავისა და ჩაის სუროგატები და ციკორი—ხუთი კაპიკი გირვანქაზე.

7. საფუარი (დროჟი):

ა) დაწნეხილი (პრესოვანი)—ოცი კაპიკი გირვანქაზე.

ბ) ხმელი: ა) დამზადებული დაწნეხილი საფუარის გახმობით განსაკუთრებული საშუალებით—სამოცი კაპიკი გირვანქაზე; ბ) გაკეთებული დაწნეხილი საფუარის დამზადებისდაგვარად, როცა დამატებულია ფქვილი ან სხვა მისი თანაბარი მასალა იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება საფუარის ცომის გასამაგრებლად—ოცი კაპიკი გირვანქაზე.

8. სახარინი და სხვა თანაგვარი ხელოვნურ-დატკბილებული ნივთიერება—ათი მანეთი გირვანქაზე ბრუტტო.

9. თაფლისა, ქნაცვლისა (პარაფინი), სტეარინისა, (ოზოკერიტისა) და სხვ. სანთელი—სამოცი კაპიკი გირვანქაზე.

10) თამბაქოს ნაკეთობა: ა) ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყვითელი თამბაქო ფურცლებად საწყობიდან ქარხანაში გადაცემისათვის გადასამუშავებლად—ერთი მანეთი გირვანქაზე; ბ) წეკოს პაპიროსები—სამოცი კაპიკი 1000 ცალზე; გ) სიგარა—თორმეტი მანეთი 1000 ცალზე; დ) სიგარეტი—ოთხი მანეთი და ორმოცდა ათი კაპიკი 1000 ცალზე; ე) წეკო მოსაწევი—ათი კაპიკი გირვანქაზე.

ბ) უცხოეთიდან შემოტანილი: ა) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი—სამი მანეთი გირვანქაზე; ბ) პაპიროსი—ექვსი მანეთი 1000 ცალზე; გ) სიგარეტი—ხუთმეტი მანეთი 1000 ცალზე; დ) სიგარა—ორმოცი მანეთი 1000 ცალზე.

გ) საპაპიროსო სახელოსნოებში დამზადებულ პაპიროსებს დაედება დამატებითი აქციზი ოცი კაპიკის რაოდენობით 1000 ცალზე.

11) ბოლოს ნაკეთობა: ა) საპაპიროსე ბოლზი—ოცი კაპიკი 1000 ცალზე; ბ) დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი—ექვსი კაპიკი 1000 ფურცელზე.

12. საჰმლის მარილი—ათი კაპიკი ფუთზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკიდან სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში გატანისათვის—ორმოცი კაპიკი ფუთზე.

13. შაქარი: ა) ჭარხლისა კრისტალისებური: ა) ფხვნილი—სამი მანეთი ფუთზე; ბ) შაქარი რაფინადი—სამოცდა ხუთმეტი კაპიკი ფუთზე დამატებით.

ბ) სახამებლის შაქარი სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, გლიუკოზა რაფინდი)—ერთი მანეთი და ოცი კაპიკი ფუთზე.

II. უფლება მიეცეს საფინანსო კომიტეტს, იმ ვადაზე, როცა იგი საჭიროდ დაინახავს, გამოიანგარიშოს ხოლმე ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული განაკვეთები ამერკავკასიის ფულის ნიშნებით თანაბრად მანეთის კურსის ცვლილებადობისა.

III. უკეთუ მიცემულ იქნება შეღავათი აქციზის გადახდის ვადის გასაგრძელებელად გაკეთებისა, ამოღებისა და შენახვის ადგილიდან, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადაზე, გამოშვებული აქციზით დასაბეგვრი საგნებისათვის და აგრეთვე უკეთუ აქციზის შეტანის ვადა გადაცილებულ იქნება—აქციზი შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში იმ განაკვეთის მიხედვით, რაც იქნება გადამხდელზე მირიცხული თანხის გადახდის დღეს.

ამერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**
ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ხარია ეოსტოკა"-ს 1923 წ. მაისის 18-ს თარიღის 111 №-ში.

დადგენილება № 50 ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სასალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 16.

110. არსებული სააქციზო განაკვეთის შეცვლისა და ახალი აქციზის დაწესების შესახებ.

თანახმად ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის მაისის 14-ს დადგენილებისა,-აქციზით დასაბეგვრი საგნებისათვის მტკიცე განაკვეთის რაოდენობის დაწესების შესახებ,-დაწესდეს ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემდეგი რაოდენობის სააქციზო დაბეგვრა ამერკავკასიის ფულის ნიშნებით:

1. ყურძნისა, ხილეულობისა და „იზიუმის" ღვინოზე:

ა. **ადგილობრივი წარმოებისა**: ა) ყურძნის ღვინო არა მუტეტს 14 გრადუსისა სიმაგრით—360.000 მან. ვედროზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის დროს—1. 700.000 მან. ვედროზე; ბ) ხილე-

ულობის ღვინო 14 გრადუსამდე სიმაგრით—1.700.000 მან. ვედროზე; ბ) ყურძნის ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა, და აგრეთვე „იზიუმის“ ღვინო—2.000.000 მან. ვედროზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის დროს 4.250.000 მან. დ) მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად) -10.710.000 მან. ვედროზე.

ბ. უცხოეთიდან შემოტანილი: ღვინო, რომელიც ალკოჰოლს შეიცავს 14 გრადუსამდე—3.400.000 მან. ვედროზე, 14 გრადუსზე ზევით, მაგრამ არა უმეტეს 20 გრადუსისა—8.500.000 მან. ვედროზე და მონავარდე ღვინო (შუშხუნა, დამზადებული შამპანიურისდაგვარად)—27.200.000 მან. ვედროზე.

2. ღვინის ძმარი დაიბეგრება 360.000 მან. რაოდენობით ვედროზე.

3. სპირტი: ა) გამოხდილი პურეულიდან და დაჩირული ხილეულობიდან და ყურწნულობიდან (ქიშმიში და „იზიუმი“)—270.000 მან. გრადუსზე; ბ) კონიაკის სპირტი—45.000 მან. გრადუსზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის დროს—160.000 მან. გრადუსზე; გ) გამოხდილი ნეფლი ხილეულობიდან, მარწყვეულობიდან და ღვინის ყოველგვარი მასალიდან—18.000 მან. გრადუსზე; დ) კონიაკს დაედება დამატებითი აქციზი 4.500.000 მან. რაოდენობით ვედროზე, ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის დროს—7.140.000 მან. ვედროზე.

შენიშვნა. ტეხნიკური, ქიმიური და სხვა სპეციალური საჭიროებისათვის მიცემული უმი და რეკტიფიკაციაქმნილი სპირტი—დაიბეგრება აქციზით საერთო საფუძველზე.

4. არყეულობას, ძირითადი აქციზის გარდა დაედება დამატებითი აქციზი—5.100.000 მან. ვედროზე.

5. ლუდი, თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური წყალი: ა) ლუდი არა უმეტეს 6 გრადუსისა სიმაგრით—720.000 მან. ვედროზე; ბ) თაფლი, კვასი, ხილეულობისა და ხელოვნური მინერალური წყალი—140.000 მანეთი ვედროზე.

6. წუმწუმის ასანთი: წუმწმის ასანთს, როგორც ადგილობრივ დამზადებულს ისე უცხოეთიდან შემოტანილს დაედება აქციზი: ა) თვითეულ კოლოფს, რომელიც შეიცავს არა უმეტეს 75 წკირსა—4.000 მან.; ბ) კოლოფს, რომელიც შეიცავს 75 წკირზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 150 წკირისა—8.000 მან; გ) კოლოფს, რომელიც შეიცავს 150 წკირზე მეტს, ხოლო არა უმეტეს 225 წკირისა—12.000 მან. და სხვ.

7. ნავთის პროდუქტები: ნავთის სანათი ზეთი (კეროსინი) და სხვა გამჭვრივალე ნახადი პროდუქტი ნავთის ქიმიური და ყოველნაირი სხვა დამუშავებისა (სანათი და საცხებელი ზეთი),—ბენზინის გარდა—360.000 მან. ფუთზე, ხოლო ბენზინი —850.000 მან. ფუთზე.

8. ჩაი, ყავა, მათი სუროგატი და ციკორი-გირვანქაზე: ა) შავი ჩაი (ბაიხოვი)—640.000 მანეთი; ბ) ჩაი ფილებად (პლიტოჩნი)—400.000 მან.; გ) აგურის-ჩაი—200.000 მან.; დ) ჩაი ადგილობრივი წარმოებისა—180.000 მან., ხოლო ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის დრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს—640.000 მან.; ე) ყავა ნატურალური, უმი ან დახალული და დაფქული—420.000 მან.; ვ) ჩაის და ყავის სუროგატი და ციკორი—40.000 მან.

9. საფუარი, როგორც ადგილობრივ დამზადებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი—გირვანქაზე: ა) დაწნეხილი საფუარი—140.000 მან.; ბ) ხმელი, დაწნეხილი საფუარის გახმობით დამზადებული განსაკუთრებული საშუალებით—440.000 მანეთი.

შენიშვნა. ხმელი საფუარი, გაკეთებული დაწნეხილი საფუარის დამზადებისდაგვარად, როცა დამატებულია ფქვილი ან სხვა მისი თანაბარი მასალა იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნება საფუარის ცომის გასამაგრებლად—დაიბეგრება აქციზით თანასწორად დაწნეხილი საფუარისა.

10. სახარინი და სხვა თანაგვარი ხელოვნურად—დატკბილებული ნივთიერება ამერიკაკავკასიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული და უცხოეთიდან შემოტანილი—7.200.000 მან. გირვანქა ბრუტტო.

11. თაფლისა, ოზოკერიტისა, სტეარინისა და სხვა სანთელი, როგორც ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი—420.000 მან. თვითეულ გირვანქაზე.

12. საპმლის მარილი, როგორც ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი—90.000 მან. ფუთზე, ხოლო ამერიკაკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან გატანის დროს—285.000 მან. ფუთზე.

13. თამბაქოს ნაკეთობა:

ა. ადგილობრივი წარმოებისა: ა) ყვითელი თამბაქო ფოთლებად (არა წეკო), რომელიც თამბაქოს ფაბრიკის საწყობიდან გადაეცემა ფაბრიკას დასამუშავებლად—900.000 მან. თვითეულ გირვანქაზე;

ბ) წეკოს—პაპიროსი ათას ცალზე	400.000 მან.
გ) სიგარეტი—ათას ცალზე	3.200.000 „
დ) სიგარა—ათას ცალზე	8.500.000 „
ე) მოსაწევი წეკო—გირვანქაზე	70.000 „

ბ. უცხოეთიდან შემოტანილი

ე) მოსაწევი თამბაქო და ბურნუთი	2.125.000 მან. გირვანქაზე.
ვ) პაპიროსი ათას ცალზე	4.360.000 მან.
ზ) სიგარეტი ათას ცალზე	10.710.000 მან.
თ) სიგარა ათას ცალზე	28.560.000 მან.

შენიშვნა. აქციზით დაბეგვრა პაპიროსისა, სიგარეტისა და სიგარისა სწარმოებს „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტებით გათვალისწინებული რაოდენობით, იმ პირობით, უკეთუ ეს ნაკეთობანი წონით არ აღემატება თვითეული მათგანის ათასი ცალისათვის დაწესებულ უმაღლეს ფარგალს. დაწესება ამ ფარგლებისა და აგრეთვე პაპიროსზე, სიგარეტზე და სიგარაზე აქციზის თანაბრად გადადებული განაკვეთის დადგენა,-უკიდურესი წონის ზევით,—დაეკვალოს ამერიკაკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

14. გოლზის ნაკეთობა და პაპიროსის ქაღალდი: ა) პაპიროსის გოლზი—142.000 მან. თვითეულ ათას ცალზე; ბ) დაჭრილი პაპიროსის ქაღალდი—42.000 მან. თვითეულ ათას ფურცელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. გილზი, რომელიც მოხმარდება პაპიროსის დამზადებას თამბაქოს ჭარხანაში,—აქციზით არ დაიბეგვრება.

15. პაპიროსი, რომელიც მზადდება სპაპიროსო სახელოსნოში აქციზ-გადახდილი ბანდეროლიანი თამბაქოდან და აქციზ-გადახდილ ბანდეროლიანი გილზიდან—დაიბეგვრება დამატებითი აქციზით 180.000 მანეთის რაოდენობით თითეულ ათას ცალზე.

16. ჭარხლისა და სახამებლის შაქარზე:

ა. ჭარხლის—კრისტალისებური შაქარი, როგორც ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებული, ისე უცხოეთიდან შემოტანილი: ა) ფხვნილი—2.142.000 მან. ფუთზე; ბ) რაფინადი—2.677.500 მანეთი ფუთზე.

ბ. სახამებლის შაქარი—სითხედ და გამაგრებული (სახამებლის ბადაგი, გლიუკოზა და რაფინადი)—900.000 მანეთი ფუთზე.

17. აქციზით დასაბეგვრი ყოველი საგანი, გამოშვებული მისი დამზადებისა და ამოღების ადგილიდან, აგრეთვე საბითუმო და საბაზისო საწყობიდან, უკეთუ აქციზი გადარიცხულია ამა საწყობებზე, ღიდან ამა დადგენილების ძალაში შესვლისა, დაიბეგვრება აქციზით ახლად დაწესებული განაკვეთისამებრ.

18. აქციზით დასაბეგვრი საგნების მარაგი, რა რაოდენობისაც უნდა იყოს იგი, რაც ამა დადგენილების ძალაში შესვლის დროისათვის აღმოჩნდება სავაჭრო საწყობებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ნავთსადგურში, რკინისგზის სადგურში, საბაჟო საწყობში და შენახვის ყველა სხვა ადგილას, ამა დადგენილების ძალაში შესვლის ღისათვის,—დაიბეგვრება აქციზის ახლად დადგენილ განაკვეთსა და წინანდელ განაკვეთის შორის არსებული განსხვავების რაოდენობით. იმავე დამატებითი აქციზით უნდა დაიბეგვროს ის პროდუქტები, რაც გამოშვებულია წარმოებისა და შენახვის ადგილიდან, ამა დადგენილების ძალაში შესვლამდე, რამდენადაც ამ პროდუქტებს მიიღებს სავაჭრო საწყობი და დაწესებულება.

19. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფინინსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე წესები და ინსტრუქციები ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

20. დადგენილება ესე ძალაში შედის იმ ღიღიან, რა ღღესაც გამოქვეყნებულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება აქციზით დასაბეგვრი საგნებისათვის მტკიცე განაკვეთის რაოდენობის დაწესების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელიშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 18-ს თარიღის 111 №—ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 48 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წლის მაისის 9.

111. შრომის ინსპექციისა დმ სოციალური დაზღვევის ორგანოთა ურთიერთობის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო-კომისარიატის მიერ სოციალური დაზღვევის სფეროში შრომის ინსპექტორთა მოვალეობის შესახებ 1922 წლის სექტემ-11-ს თარიღითა და 6 ნომრით გამოცემული დადგენილების გასაუქმებლად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დამყარებულ იქნეს შემდეგი ურთიერთობა შრომის ინსპექციასა და სოციალური დაზღვევის ორგანოთა შორის:

1. შრომის ინსპექტორები, ხოლო სათანადო შემთხვევაში სატეხნიკო და სანიტარული ინსპექტორები, ვალდებულ არიან მონაწილეობა მიიღონ საწარმოთა და დაწესებულებათა ტარიფიკაციაში საფრთხიანობისა და მავნებლობის კატეგორიებად.

2. დაზღვევის ორგანოს, რომელიც ანხორციელებს სადასაზღვეო გადასახადის გადახდევინების ფუნქციებს, შეუძლიან მისცეს ინსპექტორს ცალკე დავალებანი საწარმოთა, დაწესებულებათა და მეურნეობათა სანიტარულ-ტექნიკური მდგომაოეობის გამოკვლევისათვის; ამასთანავე, რესპუბლიკათა ცენტრებში ასეთი დავალების მიცემა მოხდება ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა შრომის დაცვის განყოფილებების მეშვეობით, ხოლო ადგილობრივ დავალებას უშუალოდ მიიღებს შრომის ინსპექტორი.

3. საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობის ყოველი მორიგი დათვალიერების დროს—ინსპექტორი შეამოწმებს—აქვს თუ არა მათ სადასაზღვეო კანონდებულებით დაწესებული დავთრები, საკონტროლო ფურცლები საჭირო ჩანაწერით, აგრეთვე შეამოწმებს სადასაზღვეო გადასახადის შეტანის სისწორეს.

4. ინსპექტორი აცნობებს სათანადო სადასაზღვეო ორგანოს ყველა ნაკლს შრომის დაცვის სფეროში, რასაც იგი თავისი მორიგი დათვალიერების დროს შეამჩნევს საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში და რასაც შეუძლიან გავლენა მოახდინოს სადასაზღვეო გადასახადის რაოდენობის გადიდებაზე, აგრეთვე აცნობებს მის მიერ შენიშნულ ყველა შემთხვევას, როცა საწარმოს გვერდი აუხვევია დაზღვევისათვის ან როცა საწარმოს, დაწესებულებას და მეურნეობას არა მართლიერი ცნობები მიუცია დაზღვევის ორგანოსათვის.

5. შრომის ინსპექტორი ვალდებულია აცნობოს დაზღვევის სათანადო ორგანოს სასამართლოს ყოველი დადგენილება საწარმოსა, დაწესებულებასა და მეურნეობისათვის გადასახდელის შეწერის შესახებ შრომის დაცვის კანონთა დარღვევის გამო.

6. სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველო უშუალოდ გადასცემს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის დაცვის განყოფილებას განსაზღვრულ თანხას, რაც დაწესებულ იქნება ამერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის შრომის დაცვის განყოფილებისა და სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველოს შეთანხმებით.

7. ამერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული (თვითეულ რესპუბლიკაში) აწარმოებს ცალკე აღნუსხვას წინა მუხლში აღნიშნულ თანხისას და მოიხმარს მას, უწინარეს ყოვლისა, შრომის ინსპექტორებისა და აგრეთვე ტექნიკური და სანიტაროული ინსპექტორების სამგზავრო ხარჯებისათვის.

8. სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს 7 მუხლში აღნიშნულ თანხის დახარჯვის გეგმის შემუშავებაში.

9. უკეთუ შრომის ინსპექტორი სპეციალურად წარვლინებული იქნება დაზღვევის ორგანოს დავალებით, უკანასკნელი დამატებით გადაიხდის მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებს და დღიურ სარგოს.

ამერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **ს. იაკუბოვი.**

მდივნის მაგიერ **მარტინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 19-ს თარიღის 112 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 12.

112. მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვისა და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობის საპატენტო გადასახადის რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლის თებერვლის 10 თარიღითა და მე-7 №-რით გამოცემული დადგენილების 8, 23, 30 და 36 მუხ. დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ქვემოდ აღნიშნული სანახევარწლო განაკვეთი საპატენტო გადასახადისა ქარხნებში და საეკროებში მაგარი სასმელების წარმოებისა და გაყიდვისათვის და თამბაქოს ნაკეთობისა და ფოთოლ-თამბაქოს ვაჭრობისათვის.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობის სახე	ზ ო ლ ე ბ ი				
	უმაღლესი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	დაბალი
	მანეთი ამიერკავკ. ფულის ნიშნებით (ათასობით)				
ა. მაგარი სასმელების წარმოებისა და ბითუმად გაყიდვისათვის.					
ქარხნები:					
სარეკტიფიკაციო:					
ა. ძირითადი 500.000$_0$-დე	10.000	6.000	4.000	3.000	2.000
ბ. დამატებითი—თვითეულ შემდგომ 500.000$_0$-ზე	2.000	2.000	2.000	2.000	2.000
პურეულისაგან არაყეულის გამომხდელი:					
ა. ძირითადი 500.000$_0$-დე	20.000	20.000	20.000	20.000	20.000
ბ. დამატებითი—თვითეულ შემდგომ 500.000$_0$-ზე	4.000	4.000	4.000	4.000	4.000
საკონიაკო	4.800	4.800	4.800	4.800	4.800
ბილეულ-ყურძნისაგან გამომხდელი:					
ა. საკონტროლო იარაღიანი	4.800	4.800	4.800	4.800	4.800
ბ. ნორმიული	1.000	1.000	1.000	1.000	1.000
არაყისა	8.000	4.800	3.200	2.400	1.600

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 500.000$_0$-ზე ნაკლები გამოხდილი და ოეკტიფიკაციაქმნილი სპირტი 500.000$_0$-სად ჩაითვლება.

საბითუმო საწყობები:					
1. პურეულისა და ყურძნეულ-ბილეულის სპირტისა	20.000	16.000	12.000	8.000	4.000
2. საკონიაკო სპირტისა და კონიაკისა .	10.000	6.000	4.000	2.000	—
3. ყურძნის ღვინისა	10.000	7.000	6.000	5.000	4.000
4. ლუდისა	6.000	5.000	4.000	3.000	2.000
ბ. მაგარი სასმელების ცალობითი ვაჭრობისათვის.					
ა. ვაჭრობა—გამოტანით და არა ადგილობრივ დალევით.					
1. მაგარი სასმელების სარდაფი	20.000	16.000	12.000	8.000	4.000
2. ღვინის სარდაფი	16.000	12.000	8.000	6.000	—
3. ღვინის დუქანი	8.000	8.000	8.000	8.000	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ვაჭრობა—ადგილობრივ დალევით.					
1. ორესტორანი (სასადილო) და სარკინისგზო ბუფეტი	40.000	30.000	24.000	16.000	12.000
2. ბუფეტი თეატრში, ცირკში და გემზე.	6.000	5.000	4.000	3.000	2.000
3. დროებითი გამოფენა სალმოებზე, ბაზრებზე, სეირნობაზე და სხვ. . . . . (თვითეული დღის ვაჭრობისათვის) .	2.000	1.200	800	600	400
გ. ადგილობრივ დალევა და გამოტანა.					
1. დუქნები	60.000	50.000	40.000	30.000	16.000
2. ლუდხანა	4.000	3.000	2.000	1.000	1.200
3. ლუდის დროებითი გამოფენა სალამოებზე, ბაზრებზე და სეირნობაზე (თვითეულის დღის ვაჭრობისათვის) . . .	1.000	900	800	600	400
გ. თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის ვაჭრობისათვის.					
1. საბითუმო საწყობები ადგილობრივი და უცხოეთის ფოთოლ თამბაქოსი .	6.000	5.000	4.000	4.000	4.000
2. საბითუმო საწყობები თამბაქოს ნაკეთობისა	20.000	16.000	12.000	8.000	8.000
3. ცალობითი ვაჭრობა სავაჭრო ადგილებში	10.000	8.000	6.000	5.000	4.000
4. ნიდვიო. და ტარებით	4.000	3.000	3.000	2.000	2.000

2. განაკვეთი ესე ძალაში შედის 1923 წლის იანვრის 1.დან.

შენიშვნა: 1923 წლისათვის უკვე აღებული პატენტი უნდა დამატებით დაიბეგვროს ახალისა და ძველი განაკვეთის განსხვავების როოდენობით.

3. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

4. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის შედგენილობაში მყოფი საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა მიერ დღემდე ამა საგანზე გამოცემული ყოველი დადგენილება და განკარგულება გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 20-ს თარიღის 113 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 51 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 17.

113. ექსპორტისათვის ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ.

საქონლის ექსპორტის წარმატებისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებიდან საზღვარგარეგ—სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საზღვარგარეგ აქციზით დაბეგვრილ საქონლის გატანის დროს, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ისეთი საქონლისა, რომლის დამზადებისათვის ძირითად ნედლ მასალად მოხმარებული იქნება (არა ნაკლებ იმ ნედლი მასალის 25%-სა, რაც სჭირდება ამა თუ იმ წარმოებას) აქციზდადებული პროდუქტები,—ასეთი საქონლისა და პროდუქტებისათვის გადახდილი აქციზი დაუბრუნდება ექსპორტიორს ამა დადგენილების 4 მუხლის წესისამებრ, ხოლო გადაუხდელი მოეხსნება.

2. შინაური წარმოების საქონლის საზღვარგარეგ გატანის დროს დაბრუნებულ იქნება საბაჟო გადასახადი იმ ნედლი მასალისა, ნახევრად-ფაბრიკატებისა, მანქანებისა და წარმოების სხვა იარაღების მოხმარებისათვის, რაც საჭირო იყო გასატანი საქონლის დასამზადებლად.

3. ნუსხას საქონლისას და პროდუქტებისას, რაზედაც გავრცელდება ამა დადგენილების 1 და 2 მუხლით გათვალისწინებული შეღავათი, ამ შეღავათის ფარგლებს თვითეული საქონლისათვის ცალკე და ვადებს და ადგილს საქონლის შეღავათიანი გატანისას—დაწესებს ამიერკავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარდგენით, რაც წინასწარ შეთანხმბულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

4. აქციზის დაბრუნება (მუხ. 1) მოხდება განსაკუთრებული ქვითარის მიცემით, რომელიც მიიღება იმ აქციზის გადახდისათვის, რაც უნდა დაედვას ქვითარში აღნიშნულ სათანადო საქონელს ან პროდუქტს.

5. საბაჟო გადასახადის დაბრუნება (მუხ. 2) მოხდება განსაკუთრებული ქვითარის მიცემით, რომელიც მიიღება საზღვარგარეთიდან შემოტანილი იმ ნედლი მასალისა, ნახევრად-ფაბრიკატებისა, მანქანებისა და წარმოების სხვა იარაღების საბაჟო გადასახადის გადახდისათვის, რაც მოხმარდება საზღვარგარეგ გასატანი საქონლის დამზადებას.

6. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა—ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით—გამოსცეს ხოლმე წესი და ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

7. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ამავე საკანზე წინად გამოცემული ყველა კანონდებულება, რომელიც ამა დადგენილებას ეწინააღმდეგება,—გაუქმებულია.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 20-ს თარიღის 113 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 21.

114. ჩერვონეცის შემოღების შესახებ, როგორც ანგარიშის გასწორების საშუალებისა.

რადგანაც საქონლის ფასები არა ნორმალურად გადიდდა, რაც, უმთავრესად შედეგია იმ ოქროს ფულის ძლიერი სპეკულაციისა, რომელიც ამიერკავკასიის ფედერაციაში იქცა ღირებულების საზომად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გადახდის საშუალებადაც,-სახალხო კომისართა საბჭო, იმ მიზნით, რათა მოსპოს შექმნილი მდგომარეობა, რაც მავნებელ გავლენას ახდენს მუშათა კლასისა და მშრომელი მოსახლეობის ფართო წრეების ინტერესებზე,—აღგენს:

1. აეკრძალოს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა,-გამოუნაკლისად,-სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს (მათ შორის კომუნალურსაც), საზოგადოებრივ ორგანიზაციას (კოოპერატიულს, შერეულ საზოგადოებას და სხვ.) და აგრეთვე კერძო პირსა და საწარმოს,-—დასდვას რაიმე ხელშეკრულება ან მოახდინოს რაიმე გამოანგარიშება ოქროს თუმნიანის კურსის საფუძველზე და აგრეთვე გაასწოროს ანგარიში და გაისტუმროს გადასახდელი ოქროს ფულით.

2. ვალდებულ იქნეს 1 მუხლში ჩამოთვლილი ყველა დაწესებულება და პირი ოქროს ფული, როგორც საფუძველი გამოანგარიშებისა, ან საშუალება ანგარიშის გასწორებისა,—შესცვალოს ამიერკავკასის ფულის ნიშნებით ან ჩერვონეცით (რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტები) თავისი შეხედულებისამებრ.

შენიშვნა. გადასახდელი იმ ხელშეკრულებით, რაც დადებულ იქნება ჩერვონეცის საფუძველზე,—შეიძლება გასტუმრებულ იქნეს, მხარეთა შეთანხმებისამებრ, ნაღდი ჩერვონცებითაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ყველა ჩამოთვლილი დაწესებულება და პირი, რომელიც აწარმოებს თავის კალულიაციას და ეწევა ანგარიშწარმოებას და ანგარიშვებას ოქროს ანგარიშით, ოქროს ფულის საფუძველზე.—ვალდებულია დაუყონებლივ გადავიდეს გამოანგარიშებაზე ამერიკავკასიის ფულის ნიშნების ან ჩერვონეცის მიხედვით, თანახმად ამა დეკრეტის 4 მუხლისა.

4. ყველა ხელმეკრულება და ვალდებულება, რომელიც ოქროს ფულად იქნება გამოწერილი ან გამოანგარიშებული ამა დეკრეტის გამოქვეყნების დღისათვის,-ავტომატიურად გადაიარიცხება ჩერვონცებად მათი კურსის მიხედვით ოქროს ფულად შემდეგი ანგარიშით: ერთი თუმნიანი ოქრო უდრის 1,65 ჩერვონეცს.

5. გადასახდელის გასტუმრება იმ ვალდებულებით, რომელიც გადატანილია ჩერვონეცებზე თანახმად ამა დეკრეტისა, მოხდება ამერიკავკასიის ფულის ნიშნებით გადახდის დღის კურსისამებრ.

6. საკრედიტო დაწესებულებისათვის ჩერვონეცით დადებული ვალდებულების გასტუმრება უნდა მოხდეს,—საკრედიტო დაწესებულების მოთხოვნისამებრ,—ნაღდი ჩერვონცებით.

7. ფისკის ყველა დარგში (საბაჟო გამოსაღები, აქციზი და სხვ.) და აგრეთვე კომუნალურ, რკინიგზისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობის დარგში, სადაც განაკვეთი და გამოსაღები დაწესებულია ოქროს თუმნიანის კურსის საფუძველზე,— შემოღებულ იქნეს ანგარიში ჩერვონცებით, თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცალკე განკარგულებისა, ხოლო გამოსაღები გასტუმრებულ იქნეს ამერიკავკასიის ფულის ნიშნებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ პერიოდულად დაწესებული კურსისამებრ.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც განაკვეთი და გამოსაღები დაწესებულია ჩერვონეცით, გადამხდელს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ, გაასწოროს ანგარიში ნაღდი ჩერვონცებით.

8. სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო (მათ შორის კომუნალურიც), საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კოოპერატივი და შერეული საზოგადოება ვალდებულია სამი დღის განმავლობაში შეიტანოს თავისი ოქროს ფული სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში ჩერვონეცზე ან ამერკავკასიის ფულის ნიშნებზე გამოსაცვლელად შეთანხმებით—ამა დეკრეტის 4 მუხლში აღნშნულ კურსით. შემდეგისათვის, ყველა ჩამოთვლილი დაწესებულება შეიტანს მის განკარგულებაში ქონებულ ოქროს ფულს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში იმ კურსით, რასაც დაადგენს ხალხმე ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

9. ფინანსთა სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამჯ დეკრეტის განსაკუთარებლად და განსახორციელებლად გამოსცეს ხალხმე ინსტრუქცია და განკარგულება.

10. მუშათა და გლეხთა ინსპექციას დაეევალება თვალყური ადევნოს, ზედამხედველობის წესით, ამა დეკრეტის სისწორითა და უცილობლად აღსრულებას და სამართალში მისცეს მისი დარღვევისათვის დამნაშავე პირი.

11. გაუქმებულად ჩაითვალოს ყველა წინად გამოცემული კანონდებულება ან მისი ცალკე მუხლები, რაც ამ დეკრეტს ეწინააღმდეგება.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მაისის 22-ს თარიღის 114 №-ში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

115. ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციების და დაწესებულებების ტვირთთათვის შეღავათის დაწესების შესახებ.

1923 წლის მაისის 14.

1. მიეცეთ ქვემო-ჩამოთვლილ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და მათ ადგილმპრივ ორგანოებს უფლება 1924 წლის იანვრის 1-დე უბაჟოდ და უაქციზოდ შემოიტანონ უცხოეთიდან სურსათი, ფართო მოხმარების საგნები და სხვა ტვირთი:

ა) ამიერკავკასიის შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს:

ბ) საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს;

გ) სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს.

დ) აზერბაიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს;

ე) სომხეთის დამხმარე კომიტეტს;

ვ) საქართველოს სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის წითელ ჯვარს;

ზ) აზერბაიჯანის წითელ ნახევარ-მთვარეს;

თ) სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის წითელ ჯვარს.

ი) სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს;

კ) სრულიად რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას;

ლ) დარბევისაგან და სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთა დამხმარე სრულიად რუსეთის ებრაელთა საზოგადოებრივ კომიტეტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ ცენტრალურ კომისიას;

ნ) ამერიკულ კომიტეტს ახლო აღმოსავლეთში.

ო) ამერიკაკავკასიის ბავშთა დამხმარე ინგლისის კომიტეტს.

შენიშვნა: ამერიკის დახმარების კომიტეტისათვის, ამერიკაკავკასიის მთავრობასთან 1923 წ. თებერვლის 10-ს დადებულ ხელშეკრულების თანახმად მიეკვანოს ყველა შეღავათი, რომელიც ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის, რჩება ძალაში.

2. ბაკისა და აქციზისაგან განთავისუფლდება ამა დადგენილებისა 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ორგანიზაციების, დაწესებულებების და მათი ადგილობრივი ორგანოების ქვემო აღნიშნული, უცხოეთიდან შემოტანილი ტვირთი:

ა) იმ ბავშთა და პირთა დასახმარებლად, რომელთა მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გამოკეთებულა მოუსავლობის შემდეგ: სასურსათო საგნები, ტანსაცმელი, საცმელი და საგები თეთრეული, ქსოვილი თეთრეულისათვის, მედიკამენტები, სამედიცინო იარაღები და ნივთები, საოჯახო საცქეელი და აგრეთვე სხვადასხვაგვარი სამოსწავლო და საამწერლო ნივთები, ხელით სახმარებელი ინსტრუმენტები, საკერავი და საქსოვი მანქანები და სხვა ამგვარი საგნები, რაც საჭიროა ბავშთა სწავლებისათვის საკოლებისა და სიხელოსნოების მოსაწყობად (საბაჟო ტარიფის მუხლები: 1—7, 13, 14, 17—20, 22, 23 (მედიც); 24, 25, 31—37, 39 (ხორაგეულობა, რომელიც განსაკუთრებით მოხსენებული არ არის) 48, 51 პუნ. 1 და 4 (თევზის ზეთი); 57 პუნ. 1, 2, 61, 62, პუნ. 2 ლიტ. „ბ“, 74 პუნ. 4, 75 პუნ. 1 და 2, 77 პუნ. 2, 3 და 4, 86, 88 პუნ. 2 ლიტ. „ბ“ და „გ“ (რეზინის საწოვებელი) პუნ. 3 და 6 ლიტ. „ბ“-, 90 (მინერალური ტალახი); 91 პუნ. 2 (გაწმენდილი გოგირდი); 93 პუნ. 4, 94 პუნ. 2 ლიტ. „ბ“ (სალმანდრო დაფქული); 98, 101, 105 პუნ. 2, 3 და 4, 107 პუნ. 2, 108 პუნ. 5 ლიტ. „დ“ და „რ“ (გუნდილო, ლიმონის სიმფავე); 100 (ლიაპისი), 112, 113, 117, 120, 168, 169, 170 პუნ. „ტ“ (სათვალეები); 177, 178, 182, პუნ. 3, 187, 188, 189, 192, 193, 194, 199, 200, 205 პუნ. 1 ლიტ. „ბ“, 209 პუნ. 1, 2, 3 და 4 შენიშვნითურთ, 210, 212, პუნ. 1 და 2, 215 პუნ. 2 და 3, 216).

ბ) გლეხთა მეურნეობისა და საწარმოთა აღსადგენად, რომელნიც დაზარალდენ მოუსავლობის გამო: საოჯახო საცქეელი, ხელით სახმარებელი ინსტრუმენტები, მასალა და ნაკეთობა, რაც საჭიროა გლეხურ ცხოვრებაში, სასოფლო-სამეურნო მანქანები და მათი მოწყობილობა, ცოცხალი და უსულო ინვენტარი (საბაჟო ტარიფის მუხლები: 40, 41, 76 პუნ. 1, ლიტ. „ა“ და „გ“, 80, 124, 140 პუნ. 4 და 5, 132 პუნ. 1 და 2, 142 პუნ. 1 და 2, 150 პუნ. 3, 151, 152. 153, 154, 156 პუნ. 1 და 2, 157, 158, პუნ. 1 და 3, 160, 161, 163, 164, 167, 168, 173 პუნ. 4, 57 პუნ. 6 და 8).

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ დაწესებულებათა და ორგანიზაციებისათვის მიცემული შეღავათი არ გავრცელდება იმ ამანათზე, რასაც აღნიშნული ორგანიზაციები და დაწესებულებანი თავიანთ ტვირთთა რიცხვში მიიღებენ ინდივიდუალური მიხამართით. ასეთი ამანათი ჩაითვლება ჩვეულებრივ ტვირთად და მასზე უნდა გავრცელდეს მომქმედი წესები ტვირთის შესახებ.

4. ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნულ ყველა ტვირთის გაშვებისათვის საჭიროა, რომ საბაჟო დაწესებულებებში აუცილებლად წარდგენილ იქნეს ამა თუ იმ კვეყანაში მყოფი ამერიკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო წარმომადგენელის ნებართვა.

5. როდესაც ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საბაჟოში წარდგენილ ტვირთს დართული იქნება ნუსხა, წარდგენილი საგნების გასინჯვა სწარმოებს ტვირთის ერთი ნაწილის დათვალიერებით—სანიმუშოდ, საბაჟო—საკანცელარიო გადასახადის გადაუხდევინებლად, ხოლო უკეთუ საბაჟო ნუსხა არ იქმნება, ტვირთის თვისებისა და რაოდენობის გამოსარკვევად იგი დაწვრილებით გასინჯულ უნდა იქნეს და გადახდევინებული საკანცელარიო გადასახადი.

6. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახელზე მოსული საგნების გამოშვებას მოახდენენ საბაჟო დაწესებულებანი უმეშვეოდ ამ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთაგან ხელწერილის ჩამორთმევით, რომ მათ მიერ მიღებული ტვირთი უსასყიდლოდ იქნება განაწილებული მცხოვრებთა შორის. საგნების გამოშვებისთანავე საბაჟო დაწესებულებანი დაუყოვნებლივ წარუდგენენ საბაჟო სამმართველოს საოპერაციო განყოფილებას დაწვრილებითი ნუსხას გამოშვებული საგნებისას, მათი სახელწოდებისა და რაოდენობის აღნიშვნით.

ამის დამოუკიდებლად, რათა უცხოეთში არსებულ ორგანიზაციებთან მყოფ ამერიკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის სრულუფლებინმა წარმომადგენელმა კონტროლი იქონიოს ამა ორგანიზაციების მიერ მიღებულ ტვირთთა განაწილებისათვის, საბაჟო დაწესებულებანი ვალდებულ არიან ყველა იმ ტვირთის შესახებ, რაც უბაჟოდ იქნება გაშვებული, აცნობობ ზემოხსენებულ სრულუფლებიან წარმომადგენელს.

7. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ყველა უბაჟო და უაქციზოდ მიღებულ ტვირთის შესახებ საბაჟო დაწესებულებანი, ხოლო შესაფერ შემთხვევაში ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანები, აცნობებენ ცალკე „რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და შიხაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებს,—რათა მათ ზედამხედველობა გაუწიონ აღნიშნულ ტვირთის წესიერად გამოყენებას.

8. ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული საგნები, რაც შეწირული იქნება ზემოაღნიშნული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის კერძო პირებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ, განთავისუფლებულია საქციზოო გადასახადისაგან მხოლოდ ამერიკავკასიის სოც. ფედერ. საბჭო. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**
ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მაისის 23 თარიღის 115 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბ. სახალხო კომისარიატის საბჭოსი.

1923 წ. მაისის 21.

116. საზღვარგარედ მყოფ პირთა ზოგიერთი კატეგორიისათვის მოქალაქეობის უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქვემოდ ჩამოთვლილ კატეგორიის პირთ, რომელნიც საზღვარგარედ იმყოფებიან ამა დეკრეტის გამოცემისას, ერთმანეთ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეობის უფლებანი:

ა. იმ პირთ, რომელნიც გავიდნენ საზღვარგარედ 1921 წ. მარტის 1-დე, უკეთუ იქ საბჭოთა წარმომადგენლობისაგან არ მიუღიათ საუცხოოთო პასპორტი ან სხვა სათანადო მოწმობა და არ მოიპოვებენ ასეთ დოკუმენტებს 1923 წ. დეკემბრის 1-დე.

შენიშვნა: ეს ვადა არ ვრცელდება იმ ქვეყნებზე, სადაც საბჭოთა წარმომადგენლობა არ იმყოფება; ასეთ ქვეყნებში აღნიშნული ვადა დაიდება ზემოხსენებულ წარმომადგენლობათა დაარსების შემდეგ.

ბ. იმ პირთ, რომელნიც გავიდნენ საზღვარგარედ 1921 წლის მარტის 1-ს შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების ნებადაურთველად.

გ. იმ პირთ, რომელნიც ნებაყოფლობით მსახურობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ არმიებში, ან მონაწილეობას იღებდნენ ამა თუ იმ სახით კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებში.

2. 1-ლი მუხლის ბ და გ პუნქტებში აღნიშნულ პირთ შეუძლიანთ შეიტანონ 1923 წ. დეკემბრის 1-დე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე, მასლობელ საბჭოთა წარმომადგენლობის მეშვეობით, განცხადება—თავიანთ უფლებათა აღდგენის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მაისის 23 თარიღის 115 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წლის მაისის 21.

117. საზაფხულო და საზამთრო საძოვარი ადგილების საიჯარო სასყიდლის ერთიანი განაკვეთის შესახებ ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის იმ მოსახლეობისათვის. რომელიც მესაქონლეობას ეწევა.

რათა დამყარებულ იქნეს ერთგვარობა და განხორციელებული განრიგება საჯარო სასყიდლისა სახელმწიფო საზაფხულო და საზამთრო საძოვარი ადგილების სარგებლობისათვის ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე და აგრეთვე მესაქონლეობის განვითარების მიზნითაა მიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1) იმ გლეხობისათვის, რომელიც ეწევა მესაქონლეობას, დაწესებულ იქნეს მთლად ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე საზაფხულო და საზამთრო საძოვარი ადგილების სარგებლობის ერთიანი სადესეტინო-საკვეგორიო საიჯარო სასყიდელი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ თვითეული წლისათვის ცალკე დადგენილი რაოდენობით.

2. 1923 წლისათვის საიჯარო სასყიდლად დაწესებულ იქნეს 50% 1914 წლის განაკვეთისა.

3. საიჯარო სასყიდელი გამოანგარიშებულ იქნეს მტკიცე ვალიუტით; მოსარგებლე გაისტუმრებს სასყიდელს იმ ადგილას, სადაც საძოვარია, ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით და იმ საკოტერო კურსით, რაც იქნება სასყიდლის გადახდის დღეს.

4. საზაფხულო და საზამთრო საძოვარი ადგილის მოსარგებლე განთავისუფლდება „საკიბიტკო“ გამოსაღებისაგან.

შენიშვნა. ხე-ტყის მასალის სარგებლობა შეიძლება საერთო საფუძველზე.

5. იჯარის უფლების სხვისთვის გადაცემა აშკარა ან ფარული, თვითნებისად მოხვნა, მოთიბვა და ყველა სხვა დარღვევა საიჯარო ხელშეკრულებისა დეენილ იქნება დარღვევის ადგილის კანონებისამებრ.

6 საიჯარო სასყიდლის გადახდევინების ვადებს დაუწესებენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები კუთვნილებისამებრ.

7. ამა დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმებულია ყველა დადგენილება და დეკრეტი, რაც ამავე საგანზე მოქმედობს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის მაისის 24-ს თარიღის 116 №—ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 52 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 17.

118. საბიუჯეტო ინდექსის ღირებულების აღნუსხვის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკალოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ 1923 წ. მაისის 15-დან გამოაქვეყნონ ხოლმე ქვემოდ აღნიშნული წესით ადგილობრივი საბაზრო ფასები იმ პროდუქტისა და საგნებისა, რაც ნაჩვენებია განსაკუთრებულ ნუსხაში, რომელსაც აქვეყნებს ხოლმე ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი.

2. საბიუჯეტო-ინდექსის ღირებულება ადგილობრივ ბაზრის ფასებზე დაწესებულ უნდა იქნეს თვითეული თვის 1, 8, 15 და 22 რიცხვისათვის სპეციალური კომისიების მიერ, რომლებიც დაარსდებიან ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებთან ხუთი წევრისაგან და რომლებშიაც შედის თითო წარმომადგენელი: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსი, პროფესიანალური კავშირის საბჭოსი და ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა. კომისიაში თავმჯდომარეობს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული პირადად ან მისი მაგიერი პირი.

შენიშვნა. აღნიშნული კომისიების შედგენილობაში შეიძლება მიწვეულ იქნენ სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი სათათბირო ხმის უფლებით.

3. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისროს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. მაისის 26 თარიღის 118 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკრეტი ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის „17“

119. — მუშა-მოსამსახურეთა დროებითი შრომის-უნარდაკარგულობის ჟამს სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა დამატებითი უზრუნველყოფის დეკრეტის შეცვლის შესახებ.

დროებითი შრომის-უნარდაკარგულობის ჟამს მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფის შესახებ საკავშირო საბჭოს მიერ 1923 წ. აგვისტოს 23 თარიღით გამოცემული დეკრეტის 1, 2 და 8 მუხ. შესაცვლელად ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: მუხ. 1, 2 (უშენიშვნოდ) და 8 მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 1. ყველა მშრომელთაგანს, რომელიც დაქირავებით ეწევა მუშაობას თუ სამსახურს სახელმწიფო, საზოგადოებრივ, საკონცესიო, საიჯარო და კერძო საწარმოში, დაწესებულებაში და მეურნეობაში, აგრეთვე კერძო პირთან,—დროებითი შრომის უნარდაკარგულობის ჟამს, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით იქნა ეს გამოწვეული,—უფლება აქვს მიიღოს დახმარება ქვემოდ აღნიშნულ მუხლების საფუძველზე.

მუხ. 2. დახმარება დროებითი შრომის-უნარდაკარგულობის დაზღვევის ფონდიდან გაიცემა ამა თუ იმ საწარმოს ან დაწესებულების სათანადო კატეგორიის სატარიფო განაკვეთის რაოდენობით, რაც იქნება დახმარების მიცემის წამს, ხოლო არა ნაკლებ იმ სამუშაო სასყიდლისა, რასაც შრომის უნარდაკარგული ფაქტიურად იღებდა იმ პერიოდში, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა შრომის უნარდაკარგულობას. დახმარება გაიცემა შემდეგ შემთხვევაში:

ა) ავადმყოფობისა, დაშავებისა ან ოჯახის ავადმყოფი წევრის აუცილებელი მოვლისათვის მთელი იმ დროის განმავლობაში, ვიდრე განიკურნებოდეს, ან საექიმო ექსპერტიზის ორგანო გადასწყვეტდეს შრომის უნარდაკარგულობის სიმყარეს.

ბ) ორსულობისათვის—ფიზიკური შრომით მომუშავეს რვა კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და რვა კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ, ხოლო დანარჩენთ—ექვსი კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და რვა კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ.

კარანტინში ყოფნის დროს,—ვიდრე კონტინი განიგრძობა.

მუხ. 8. უკეთუ ლიკვიდაცია მოხდება საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობისა, ან მუშაობის დროებითი შეჩერება, ან და შტატების შემცირება, მუშა-მოსამსახურენი, რომელთა დროებითი შრომის. უნარდაკარგულობა დაიწყო საწარმოს ლიკვიდაციამდე, ან მუშაობის შეჩერებამდე, ან და შტატების შემცირებ-

ამდე,—განაგრძობენ დროებითი შრომის-უნარდაკარგულობის დახმარების მიღებას, და აგრეთვე დახმარებას სხვაგვარ დამატებითი უზრუნველყოფისას მათი ოჯახის წევრთათვის დროებითი შრომის-უნარდაკარგულობის დაზღვევის ფონდიდან მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე განიკრნებოდენ, ან საექიმო ექსპერტიზის ორგანო გადასწყვეტდეს შრომის-უნარდაკარგულობის სიმყარეს.

ამირკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—**მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მაისის 30-ს თარიღის 121 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მაისის 29.

120. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული დეკრეტის მე-20 მუხ. განსავითარებლად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. სრულიად განთავისუფლებულ იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ის მეურნეობა, რომელსაც ნახევარ დესეტინაზე ნაკლები სახნავი აქვს (სხვაგვარი სანახები სახნავზე გადაიტანება) და ჰყავს ორ სულზე ნაკლები მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (სხვა მსხვილფეხა საქონელი მსხვილფეხა რქოსან საქონელზე გადაიტანება).

2. განთავისუფლებულ იქნეს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ის მეურნეობა, რომელსაც აქვს ნახევარ დესეტინა სახნავზე მეტი ერთ დესეტინამდე (სხვა გვარი სანახები სახნავზე გადაიტანება),—როდესაც მოსავალი დესეტინაზე ორმოცდა ხუთ ფუთზე ნაკლებია.

3. დანარჩენ მეურნეობათათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი განაკვეთი.

I

განაკვეთი ერთ დესეტინა სახნავზე ხორბლეულ ერთეულად.

რაიონი, სადაც საშუალო მოსავალი დესეტინაზე უდრის (ფუთობით).

№№ ჯგუფ.	მეურნეობა დესეტინების რაოდენობით.	25-დე	25 მეტი 30-დე	30 მეტი 35-დე	35 მეტი 40-დე	40 მეტი 45-დე	45 მეტი 50-დე	50 მეტი 60-დე	60 მეტი 70-დე	70 მეტი 80-დე	80 მეტი 100-დე	ეს ფუთზე მეტი.
1	ნახევარ დეს-ზე მეტი 1 დესტ-დე.	—	—	—	—	—	20 გირ.	30 გ.	1 ფ.	1ფ. 10 გ.	1ფ. 30 გ.	2ფ. 30 გ.
2	ერთ დესეტინაზე მეტი 2-დე. .	20 გირ.	30 გირ.	1 ფ.	1ფ. 20 გ.	2 ფ.	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ.	4ფ. 20 გ.	5ფ. 20 გ.	7 ფუთ.	8ფ. 20 გ.
3	ორ დეს. მეტი – 3-დე	30 გირ.	1 ფუთ.	1ფ. 20 გ.	2 ფ.	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ.	5 ფ.	6ფ. 20 გ.	8 ფუთ.	10 ფუთ.	12 ფუთ.
4	სამ დეს. მეტი—4-დე	1 ფუთ.	1ფ. 20 გ.	2 ფ.	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ.	4ფ. 20 გ.	6 ფ.	7ფ. 20 გ.	9 ფუთ.	11 ფუთ.	13 ფუთ.
5	ოთხ დეს. მეტი—6-დე	1ფ. 20 გ.	2 ფუთ.	2ფ. 20 გ.	3ფ. 20 გ.	4ფ. 20 გ.	5ფ. 20 გ.	7 ფ.	8ფ. 20 გ.	10 ფუთ.	12 ფუთ.	14 ფუთ.
6	ექვს დეს. მეტი	2ფ. 20 გ.	3 ფუთ.	3ფ. 20 გ.	4ფ. 20 გ.	5ფ. 20 გ.	7 ფ.	8ფ. 20 გ.	10 ფ.	11ფ 20 გ.	13ფ. 20 გ.	16 ფუთ.

II

განაკვეთი თითო სულ მსხვილ რქოსან საქონლისათვის.

№№ ჯგუფ.	მსხვილი რქოსანი საქონლის რაოდენობა.	განაკვეთი თითო სულზე ხორბლეულ ერთეულად
1	2-დან 3 სულამდე . . .	5 გირვ. . . . .
2	სამზე მეტი—ხუთამდე . . .	10 გირვ. . . . .
3	ხუთზე მეტი—ათამდე . . .	15 გირვ. . . . .
4	ათზე მეტი—ოცამდე . . .	20 გირვ. . . . .
5	ოც სულზე მეტი	25 გირვ. . . . .

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა. კ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა. კ. ცენტრალური აღმ. კომიტეტის მდივანი: **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ივნისის 1-ს თარიღის 123 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 53 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისის 31.

121. ბაქოს ბაზრობაზე ოპერაციებისათვის სპარსეთიდან შემოტანილი ვალიუტის უკან გატანის წესის შესახებ.

რათა ხელი შეეწყოს ბაქოს ბაზრობის წარმატებას სახალხო კომისართა საბჭო დროებითი ღონისძიებად ადგენს:

შესაძლებლად იქნეს ცნობილი შემდეგი გამონაკლისი საკავშირო საბჭოს მიერ უცხოეთის ვალიუტისა და სავალიუტო ფასეულობის საზღვარგარეთ გატანის წესის შესახებ 1922 წლის ოქტომბრის 21-ს თარიღთა და 50 ნომრით გამოცემული დადგენილებიდან:

1. ბაქოს ბაზრობის მოქმედების განმავლობაში ნება მიცეს ვაჭრებსა და მრეწველთ, რომელნიც სპარსეთიდან შემოიტანენ ოქროს და უცხოეთის ვალიუტას—მეტალისას ან ქაღალდისას,—გაიტანონ იგი უკანვე სპარსეთში ბაქოს ბაზრობის კომიტეტის მოწმობით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (აზერბაიჯანში) მიერ.

2. საბაზრო კომიტეტის მოწმობა გამოწერილ უნდა იქნეს სპარსეთიდან ფაქტიურად გამოტანილი ვალიუტისა ან ოქროს მარტოოდენ იმ ნაშთისათვის, რაც გამოუყენებელი დარჩება ბაქოს ბაზრობაზე მოხდენილ სასაქონლო გარიგებათა შემდეგ: პასუხისმგებლობა მიცემულ მოწმობათა სისწორისათვის დაეკისრება ფინანსთა სახალხო კომისარიატს რწმუნებულს აზერბაიჯანში და ბაქოს ბაზრობის კომიტეტს.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და ძალაში დარჩება ბაქოს ბაზრობის მოქმედების განმავლობაში და ორი კვირა ამ ბაზროის ოფიციალურად დახურვის დღიდან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის ივნისის 2-ს თარიღის 124 №—ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. ივნისის 1.

122. მარტივი საღერბო გამოსაღების შენაწერის გიდიდებისა და სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების 15 მუხ. დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გადიდებულ იქნეს ამ ჟამად მომქმედი სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების მე-3 მუხ. აღნიშნული უბრალო საღერბო გამოსაღების რაოდენობა და დაწესებული იქნეს: 10.000 მან. მაგიერ—40,000 მან.; 20,00 მან. მაგიერ—60.000 მან.; 100.000 მაგიერ—300.000 მან. და 200.00 მან. მეგიერ—500.000 მან. ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით.

2. ამ ჟამად მომქმედი სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდების მე-15 მუხლს დაერთოს შემდეგი შენიშვნა:

შენიშვნა: რაოდენობა გადასახდეეინებელი თანხისა განისაზღვრება ჩერვონცებად იმ დღის კურსის მიხედვით, როდესაც დარღვეულ იქნება სახელმწიფო საღერბო გამოსაღების წესდება და შემდეგ ეს თანხა ისევ გადატანილ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ფულის ნიშნებზე იმ დღის კურსის მიხედვით, როდესაც გამოაშკარავდა დარღვევა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. ივნისის 5-ს თარიღის 125 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება №154 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის მაისი 17.

123. სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ამიერკავკასიის საკავშირო საბჭოს მიერ სოციალურ დაზღვევაში მონაწილეობისაგან განრიდებისათვის და სადასაზღვეო წვლილის შეუტანლობისათვის გადასახდელის დაწესების შესახებ 1922 წლის დეკემბრის 30-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის გასაუქმებლად სახალხო კომისარია საბჭო ადგენს:

1. უკეთუ საწარმო, დაწესებულება და მეურნეობა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და აგრეთვე კერძო პირი, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომას, არ გადიხდის დადგენილ ვადაზე თავის ხვედრ წვლილს სოციალური დასღვევისათვის,—გადასახდელად მიწერილი თანხა, ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლში აღნიშნული ზედნართთი, გადაირიცხება ნარჩენად და გადახდევინებულ უნდა იქნეს იძულებით, უდავო წესით და იმ ღონისძიებათა მხარებით, რაც აღნიშნულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადასახადთა აკრეფის შესახებ დამტკიცებული დებულების მე-8, 11 და 14 მუხლში.

2. ნარჩენის გადახდევინება სწარმეობს სათანადო სადასაზღვეო ორგანოს განკარგულებით, რომელიც ახდევინებს სადასაზღვეო გადასახადს.

შენიშვნა. საკრედიტო დაწესებულებაში ქონებულ მენარჩენის ანაბარაზე და იმ თანხაზე, რაც გადამხდელს ერკვება მესამე პირისაგან, გადასახდელი შეიძლება მიქცეულ იქნეს მხოლოდ სათანადო სასამართლოს დადგენილებით.

3. წესი პირველი და მეორე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი გადახდევინების შეფარდებისა განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამიერკავკასიის ფედერაციის თვითეულ რესპუბლიკაში დაამტკიცებს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული—შინაგან საქმეთა და იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

4. უკეთუ სოციალური დაზღვევის გადასახადი არ იქნა გადახდილი იმ ვადაზე, რომელიც სათანადო რესპუბლიკაში დადგენილია სოციალური დაზღვევის ორგანოს მიერ, გადასახადს მიერიცხება ოქროს მანეთის ოფიციალური კურსის განსხვავება გადასახადის შეტანისათვის დადგენილი ვადის უკანასკნელი დღისა და ვადის გასვლის შემდეგ ფაქტიურად გადახდის დღის შორის.

5. უკეთუ გადასახადი ზედდართული საკურსო განსხვავებით არ იქნა გადახდილი დადგენილ ვადაზე (მუხ. 4), მას მიერიცხება საურავი: ვადის გადაცილების პირველი თვისათვის 10 პროც. გადასახდელი თანხის საკურსო განსხვავების ჩათვლით ამ თანხაში და ვითიეულ მიმდევნო თვისათვის—15 პროც. ამ თანხისა; ამანთანავე, არა-სრული თვე—ჩაითვლება სრულ თვედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი სახელმწიფო საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობისა, მფლობელი კერძო საწარმოსი, დაწესებულებისა და მეურნეობისა, აგრეთვე კერძო პირი, რომელიც სარგებლობს დაქირავებულ შრომას, მათზე მირიცხული სოციალური დაზღვევის თანხის გადაუხდელობისათვის სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, აგრეთვე სოციალური დაზღვევის ორგანოებში რეგისტრაციისაგან განრიდებისათვის და ამ ორგანოებიში მათ მიერ მოთხოვნილი ცნობების წარუდგენლობისათვის ან და წინასწარი შეცნობით ყალბი ცნობების მიწოდებისათვის, მიიცემიან პირადათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ამიერკავკასიის ფედერაციის თვითეული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თასახმად.

7. აღძვრა სისხლის სამართლის წესით დევნისა ან საქმეების გამო, რაც ჩამოთვლილია ამა დადგენილების მე-6 მუხლში, მოხდება სოციალური დაზღვევის სათანადო ორგანოს მიერ, ან მისგან საამისოდ რწმუნებამოსილი პირების მიერ და აგრეთვე შრომის ინსპექტორების მიერ.

8. ქონებრივი გადასახდელი სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში სოციალური დაზღვევის წესების დარღვევის საქმეთა გამო, რაც სათანადო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია შრომის კანონების დარღვევისათვის, მიიქცევა ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლებზე, რომელნიც დამნაშავენი არიან ხსენებულ დარღვევაში და არ შეიძლება გადატანილ იქნეს სათანადო დაწესებულებაზე ან საწარმოზე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლისი.**
ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისს 5-ს თარიღის 125 №-ში.

დადგენილება № 55 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის ივნისის 7.

124. შავიზღვის ნაპირის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში საღუზო გამოსაღების გადახდევინების წესის შეცვლის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 62 ნომრით გამოცემული დადგენილების პირველ მუხლში გათვალისწინებული შეღავათი ნავჭურჭელთა საღუზო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ პირველი 72 საათის განმავლობაში, ნავჭურჭელის ნავთსადგურში მოსვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროიდან, გავრცელდეს იმ ნაოსნობის სახოგადოებათა სამგზავრო და საბარგო ნავჭურჭელზე, რომელთაც დააწესეს რეგულიარული მიმოსვლა, ე. ი. რომელთა ნავჭურჭელი მოდის ხოლმე ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში განსაზღვრულ დღეებს,—საერთოდ, ორჯერზე არა ნაკლებ თვეში.

2. განთავისუფლდეს საღუზო გამოსადებისაგან პირველი 120 საათის განმავლობაში ის ნავჭურჭელი, რომელიც მოდის ბათომ-გაგრის რაიონის ნავთსადგურებში შავიქვისავთის, ხოლო ცარიელი; ნავჭურჭელი, ზემოაღნიშნული რაიონის ნავთსადგურში ტვირთით მოსული, რომელსაც უკან თუნდაც შავი-ქვა მიჰქონდეს, დაიბეგროს ყველა გამოსაღებით ყოფილ საზღვაო ტრანსპორტის სამართველოსადმი 1921 წლის ნოემბრის 3 ს თარიღითა და 84 ნომრით გაცემული ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად.

3. ნება მიეცეს ნავთსადგურთა განყოფილებას ამა დადგენილების პირველი მუხლის განსავითარებლად შემუშაოს და შემოიღოს საამქვედოდ დაწვრილებითი წესი აღნიშნულ გამოსაღებთა გადახდევინების შესახებ.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერკავკასიის სოც. ფეო. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მღივანი **გ. სარუხანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. ივნისის 9-ს თარიღის 130 №-ში.

ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲬᲘᲗᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ

ნებად. ლ. და გ. მთავ. მართ. № 846 ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ტირაჟი 800